

742
969/2

ՀԻՄՆ

1969
ՕԺՅՈՒՅՑՅՈՒՆ
N 10



მზია ჩხავიანი

ნავაჲ საით გაჲკაჲლან?

უკვირს გურამს,
უკვირს ზურაბს,
და ნინიკოს თვალნატულას:
მერცხლები და შოშიები
ნეტავ საით გაჲბარულან?!





გრეჯას სიმღერა

კინრიკ კიპუნი

ნახატი თამაზ ნაშიშვილისა

გრეტა ექვსი წლისაა, მაგრამ რომ შეხედოთ, რვისა გეგონებთ: მალალი და გამხდარი გოგონაა. ოქროსფერი, ხუჭუჭა თმა თოჯინის იერს აძლევს.


გრეტა პედაგოგების ოჯახში იზრდება: მამამისი სკოლის დირექტორია, დედა და ბებია მასწავლებლები არიან.

ერთ კვირა დილას ყველანი მაგიდას უსხდნენ და საუზმობდნენ. დასვენების დღე იყო, სამსახურში არავინ მიდიოდა. თუმცა ახლაც მხოლოდ თავიანთ სამსახურზე ლაპარაკობდნენ.

ყველაზე საინტერესო ამბავს ბებია მოჰყვამს. მისი ლაპარაკიდან ისე გამოდის-

და, ჩემი მოსწავლეები ყველაზე ბეჯითები და ყოჩაღები არიანო. თურმე ზოგი ხატავდა, ზოგი ქარავდა, ზოგი კიდევ—ლექსებს წერდა; ყველა მათგანი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის რაიმე საჩუქარს ამზადებდა.

გრეტა ყურადღებით უსმენდა ბებოს. საუზმე კარგა ხანია, რაც მოათავეს, მაგრამ გრეტა ისევ მაგიდასთან იჯდა. ერთი რამ აღარ სცილდებოდა გონებიდან:— „ყველა ბავშვი ემზადება ლენინის დაბადების დღისათვის... რატომ მეც რაიმე არ შემიძრჩია მუისკის მასწავლებელმა?!“ გოგონა ჩაფიქრდა. მერე თითქოს რაღა-



17607

ცას მიაგნო, თავისთვის ამუტუტა, სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა და ისეთი ლექსი გამოუვიდა, თვითონვე მოეწონა.

გრეტა წამოდგა და ფორტეპიანოს მიუხდა. პირველად გაუბედვლად შეეხო კლავიშებს, მერე უფრო გაბედულად დაუკრა.

ოთახში ბებია შემოვიდა:

— რას უკრავ, ჩემო კუდრაქავ?

გრეტამ დაკვრა შეწყვიტა:

— მარტო შენმა მოსწავლეებმა ხომ

არ უნდა გააკეთონ ყველაფერი ლენინის დაბადების დღისთვის... მეც მინდა რაიმე მიეშუქნა.

— ეს შენ თვითონ დაწერე?

— მოგწონს, ბებო? მოდი, გიმღერებ.

გრეტა მღეროდა და პაწაწკინტელა თითებს კლავიშებზე დათამაშებდა. ბებია კმაყოფილებით უქნევდა თავს.

— აბა, ერთხელ კიდევ იმღერე!

გრეტას წკრიალა ხმამ ოთახი საამო პანგებით აავსო.

გერმანულიდან თარგმნა შოთა ამიჩანაშვილი

მეუჩმა

ნოღარ კეკელიძე ნახტი ზურბ მამბაკიანიშვილისა

— სოსიკო, ქასთან არ მიხვიდე!

— არა, დეიკო!—ამბობს ბიჭი და ურემთან მოფუსფუსე უფროსი ძმისაკენ მიდის.

— იქით წადი, ბიჭო!—არ იკარებს ძმა.

მუღამ დღე ასეა. აქაო და. პატარა ხარო, იქ ფეხი არ დაადგა, იმას ხედი არ ახლო, კონკრეტზე შემდგარ ურემს მოერიდე, ზედ არ დაგეცესო. მაშ, რა ქნას ბიჭმა? ხედავს, ყველა რალაცას ჩაპკირკიტებს, საქმიანობს. სოსიკოსაც გული ეჩრის.

— თანდიდ, რას აკეთებ?—ხმას აუწია სოსიკომ და ძმას მჯილი წაჭკრა.

— თავი გამანებე!—შეუბღვირა თანდიდამ.

— მითხარი რა, რას აკეთებ?—შეუხვეწა სოსიკო.

— ძალიან გაინტერესებს?..

— ძალიან!

— რასა და ურემს ლერძს ვუტყვი.

— მერე? მერე რას იზამ?

— მერე? მერე ურემზე ტომრებს დევაწყობ და წისქვილზე წავიღებ.

— მერე?


— მერე უკან დავბრუნდები.

— მერე?

— მერე და მერე!

— მერე უკან რომ ამობრუნდები?

— ვააჰ!—აქ უკვე აღარ ეყო მოთმინება თანდიდას,—მერე ავდგები და, ერთი კარგად მიგბერტყავ!



- რატომ?—ახლა კი იწყინა სოსიკომ.
- იმიტომ, რომ გულს მიწყალებ, ხომ ხედავ, საქმეს ვაკეთებ!
- მეც მინდა საქმის კეთება!
- ერთი, ამ ცინგლიანს დამიხეფეთ: გასწი, დამეპარგე აქედან!
- სოსიკოს ფეხი არ მოუტყვია ადგილიდან.
- თანდრი!
- რა გინდა, ბიჭო, რა?

- სოსიკომ კოფოზე წამომჯდარ ძმას გულდა-წყვეტით გააყვია თვალი.
- მეორე დღეს ჯერ კარგად არ იყო შეთენებულ-რი, რომ სოსიკომ თვადები გააპყრია, ზეზე წამოიქრა და ტანთ ჩაიცვა.
- დედი, თანდრია მოვიდა?
- მოვიდა, შვილო, მაგრამ წვიმას მოუსწ-რია და ისე დასველებულა, ძაფი აღარ დარჩენია მშრალი.
- მერე სად არის?
- აგერ წვეს და კბილს-კბილზე აცემინებს! სოსიკო ფეხაკრეფით შვევიდა მეორე ოთახში.
- თანდრი, ავდა ხარ?
- თანდრის ხმა არ გაუღია.
- გინდა, წამალი მოგიტანო?
- თავი დამანებე!—ზურგი შეუბრუნა ძმამ.



- წისქვილიდან რომ ამოხვად, მერე სად წახვალ?
- ჰმ!—თავი ვაპანია თანდრიდამ.
- ჰაა, სად წახვალ?
- წისქვილიდან რომ ამოვად, რთველისათვის უნდა გავებზადო. ხვად ჩვენ კოდმეურნეობას რთველი აქვს და მარანში ყურძენი უნდა ვბირო! გაიგე?
- მეც ხომ წამიყვან?
- გოღრები ვბირო თუ შენ მოგხედო?
- მე ხომ გოღორი არა ვარ? სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოგყვები.
- არა!—თქვა თანდრიდამ და წამოღდა. ხარები ურემში შეება და ეზოდან გავიდა.



— ევენახში რომ გეღვლებიან?
— თავი დამანებე-მეთქი!— შეუყვირა თანდ-
იამ;
სოსიკო აივანზე გამოვიდა და ხარებს გადა-
ხედა.

* * *

— ხომ ვამბობდი, კაცო!— დროდარო ჩაიღ-
პარაკებს კოღმეუნენობის თავმჯდომარე, — ურმე-
ბი დაგვაკვლდება-მეთქი!
— რა ვიცი, აბა! — ბურტყუნებს ბრიგადი-
რი, — გუშინ თანდრიამ დაიბარა, უთენია გად-

მოვალე. ახლა რალა დაემართა ნეტავ?
— უყურეთ, ხაზო! — დაიძახა ვილაცამ.
ყველამ შარავბისაკენ გაიხედა. ხედავენ: შარა-
ზე ურემი მორანახაზებს.
— ეს რა ამბავია? — გაოცებით იკითხა
თავმჯდომარემ.
კოტაც და ყველამ დაინახა: ურემზე თანდრის
ძმა — სოსიკო წამოსკუპულიყო.
— აბა, ესეც ურემი, თავისი მეურმით! — ღი-
მილით თქვა თავმჯდომარემ, — ყოჩაღ, სოსიკავ,
ყოჩაღ!

თინათინ ჯიჩიკაძე

ზაზა და ტიკიკოკა

როცა რთველი ჩათავდა,
ზაზას პაპა ნუგზარმა
ყურძნის წვენით ავსილი
ტიკი გამოუზავენა.

ზაზამ ბლომად დალია,
წამოიწყო ტიტინი,
გაებერა მუსელი,
ბაწაწინა ტიკივით..



კაკეტი

— ვაზო, ვაზო, პირლამაზო,
ალარ გეშინია სეტყვის?
— რა მაშინებს, სეტყვის ღრუბლებს
ვერ გავრეკავთ, მე შენ გეტყვი!
სეტყვას როგორ გავახარებთ,
თქვენს მტერს, რაც მას ღლე ვაყარეთ,
განა თოფით ან კეტებით? —
რეაქტიულ რაკეტებით.

ნახატი ზარბა შორჩინიძე



თეთრა ჰე შავქერქა

მეა ჩაქალილი

ძეძის ღობესთან ორი გოგრის ყვავილი გაიშალა, ერთი ღობის — იქით, მეორე — ღობის აქეთ. მალე ღობის იქითა ყვავილი პატარა თეთრი გოგრა ვახდა, ღობის აქეთა კი — შავი გოგრა. პატარა გოგრები ღობის ჭურჭრუტანიდან უჭვრიტინებდნენ ხოლმე ერთმანეთს და უღიმოდნენ.

გოგრის ბარდებმა იცოცეს, იცოცეს და გოგრები ღობის თავზე შეხედნენ ერთმანეთს. შავი გოგრა თეთრ გოგრას შეეკითხა:

- რა გქვია, ძმობილო?
- თეთრა. შენ?
- მე შავქერქას მეძახიან.

— რა კარგია აქ ყოფნა! — თქვა თეთრამ და ღობეზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა.

— მეც მომწონს აქაურობა, ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს.

თეთრას დემა ღობეზე შესკუმბული თეთრა და შავქერქა რომ დაინახეს, თავში ხელი შემოირტყეს და გაბრაზებით შეჰყვირეს:

— ახლავე ჩამოდი, შე სულელო, შენა! შავქერქას გულისათვის მაგ სიმაღლეზე რომ არ აცოცებუდიყავი, აქ ცოტა გოგრები გართ?

— რატომ გგონიათ, — უთხრა თეთრამ, რომ შავქერქა ცული გოგრაა? ის ჩემი მეგობარია.

თეთრა მაინც შავქერქასთან დარჩა ღობეზე.

გოგრები კარგად რომ წამოიზარდნენ, ბებია ტასომ თქვა:

— ამათ უყურე! საიდან სად ასულან, ერთმანეთისათვის მხარი დაუმშენებიათ. ავიტან სხვენზე და იქაც ერთად დავაწყობ, რახან ერთად ყოფნა უნდათ, იყვნენ და იტუკტუკონ. მერე თეთრ გოგრას ჩემ თეთრ გოგოს გავუზავნი; შავქერქას კი — ჩემს შავტუნა ბიჭს, თან მივწერ:

— თქვენ გენაცვალოთ ბებია, ხომ იცით, გოგრა რა სასარგებლოა, ჰოდა, ამიტომაც გივზავნი!





ეკა და მაკა

ანა პანძაძე

- ბებია, მე ხომ ეკა მქვია?
- ჰო, გენაცვალოს ბებია!
- რომ გავიზრდები, მეც შენსავით ეკატერინე ვიქნები?
- მაშ!
- მე კი—მაკატერინე,—თქვა უმცროსმა ღამ—მაკამ.

კატა

(პოლონურიდან)

— იცი, რა კატა მყავს! — უთხრა იანეკმა სტუმარ ბიჭუნას, — კრუტუნებს, კნავის, ბურთს თამაშობს.

— თავგებს თუ იჭერს? — ჰკითხა სტუმარმა.

— იჭერს რომელია!

— მათხოვე რა, ცოტა ხნით! შინ თავგებმა აგვიკლეს.

— ის შენი თავგები მოიყვანე აქ! — ურჩია იანეკმა.



ანი და მზი

თამარ ჩხაიძე

ანი ზღვაში ჭყუმპალაობდა. მზე ჩადიოდა.

— მზე დაიხრჩო! მზე დაიხრჩო! — ატეხა ყვირით ანიმ.

ამ დროს ზოლებიანმა ისუროიანმა მეზღვაურმაც ჩაყვინთა.

— ზედიკო, დედიკო! — შესძახა გახარებულმა ანიმ, — შეხედე, მზის ამოსაყვანად ჩაყვინთა.

ნახატები ელ. აბგოპაძისა





სიკვდილი

ოგია იოსელიანი

ნახატები ჯიშელ ლოლუასი

ერთ საღამოს მანომ ბართს უთხრა:
 — დღეს შენი როგია, ძენ უნდა მოუყვე ზღაპარი დაჩის.
 — ვერ მოვუყვები!—თავი გააქნია ბარომ.— ხომ ხედავ, არ მცალია, სასკოლო გაზეთს ვაფორმებ. ხვალ მოვუყვები.
 — ხვალ მოუყვები, მაგრამ ამალამ ბავშვი უძინარი დარჩეს?
 — ყოველლამ ზღაპარი რა აუცილებელია, დაიძინოს უზღაპროდ.
 — არ დავიძინებ!—გაჯიუტდა დაჩი.
 — არ დაიძინებ და ნუ დაიძინებ,—აინუნშიაც არ ჩაავდო ბარომ.
 — არ დევწვები!—ფეხები ვასახვსვა დაჩიმ.
 — წამოდი, დაუყვავა მანომ,—მე მოგიყვები ზღაპარს.
 — იყო ორი ძმა.
 — მე და ბარომ?—იკითხა ძმაზე გაჯავრებულმა დაჩიმ.

— ჰო, შენ და ბარომ.
 — ბარომ არ მიყვარს.
 — ვიცო, გულმოსული ხარ, მაგრამ ძმა მაინც ძმაა.
 — ბარომ არაა ძმა.
 — ძმა როგორ არაა, აბა ვინაა?!—გაიოცა მანომ.
 — არ მინდა ბარომ,—ზღაპარი მინდა.
 — ჰოდა, მოიცა, დამიგდე ყური და გეტყვი: იყო ორი ძმა. ერთი დიდი ბიჭი იყო, მეორე—სულ პატარა.
 — მე სულ პატარა არა ვარ.
 — ჰო, მართლა. იყო ერთი უფროსი და მეორე უმცროსი. ერთხელ უმცროსს გული მოუფიდა უფროსზე და თქვა: მე არ მინდა ძმა, ვიგლი ჩემთვის მარტო და საითაც მინდა, იქით წავალო. ერთ დღეს ადგა დაჩი. წელზე ხანჯალი დაიკიდა. მხარზე მშვილდ-ისარი გაიღო და გასწია.
 — საით მიდიხარ?—ჰკითხა ბარომ.
 — შენი საქმე არაა,—უპასუხა დაჩიმ.
 — როგორ თუ ჩემი საქმე არაა, მე შენზე

უფროსი ვარ!

— მე შენ არ მიყვარხარ!

— მე შენი ძმა ვარ და უნდა მკითხო.

— შენ ძმა სულაც არა ხარ და საითაც მინდა, იქით წავალ!—არ დაიშალა დაჩიმ.

ბაჩოს უნდოდა ეთქვა, თუ მძინარე დევი ნახო არ გააღვიძო, მაგრამ უმცროსმა არ მოუსმინა და წავიდა. იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მიადგა ერთ გამოქვაბულს. ხედავს, გამოქვაბულის კართან დევი წევს. ცალი დიდი თვალი ღია აქვს, მეორე—სულ პატარა დაუხუშავს და ხვრინავს. დაჩიმ იფიქრა: თუ ცალით და ისიც დიდი თვალით ისედები, ეს რა ძილიაო! დაიღო ხელი ხანჯალზე, დევს ფეხი ჰქრა და გააღვიძა. აღრი-
აღლა დევი:

— ვინაა ძილს რომ მიფრთხობსო?!

— ვინ უნდა იყოს?—დაჩი ვარო.

დაჩი საქვეყნოდ განთქმული მონადირე იყო, მაგრამ დევი უშურნალებს და წიგნებს არ კითხულობდა, არც რადიოს უსმენდა და აბა, საიდან ეცოდინებოდა დაჩის ამბავი.

დევმა პატარა თვალით გაზომა ბიჭი და თქვა:

— მე შენ ერთ ლუკმად არ მეყოფი, გადაგყლაპავ.

— მერე მე ხანჯალი მაქვს, გაგიპრი მუცელს და გამოვალ.

— გეტყობა, შენ ჩემი მართლა არ გეშინია!— გაუკვირდა დევს, იქვე მსხვილ ქვას მუშტი დაჰქრა და მტვრად აქცია.

— მე არაფრის არ მეშინია,—თქვა არხინად დაჩიმ და მეორე ხელიც ხანჯალზე დაიდო.

— აჰა, ვიცი,—ხმას დაუწია დევმა,—უფროსი ძმა გყავს და იმის იმედი გაქვს, ხომ?

დაჩი ძმაზე ისევ გულმომოსული იყო და თავი გაიქნა.

— ძმა სულაც არა მყავს.

დევი სისხარულით გადაირია:

— ჩამომართვი ხელი! მართლა გულადი ყოფილხარ!

უფროსი ძმას წამოსვლის წინ უნდოდა ეთქვა: დევი არ გააღვიძო, მაგრამ თუ შეცდი და გაღვიძე, ხელი მაინც არ ჩამოართვაო. მაგრამ დაჩიმ ხომ არ ისმინა და ახლა დევს ხელი გაუწოდა.

დევმა მაგრად ჩასჭიდა ბანჯგვლიანი თითები, მაგრამ ბიჭს მეორე ხელი ხანჯალზე ედო და



დევმა ისევ ეშმაკობა იხმარა:

— მოდი, დაჩი, დავძმობილდეთ!

— დავძმობილდეთ.

— თუ მართლა ამბობ, მეორე ხელიც ჩამომართვი.

უფროსი ძმას უნდოდა დაებარებია უმცროსისა-

თვის: თუ დევს ენდობი და ცალ ხელს ჩამოართმევ, მეორე მინც ხანჯალზე უნდა გედოსო. მაგრამ ახლა დაჩიმ მეორე ხელიც ჩამოართვა და ხანჯალს რაღას ამოიდებდა?! დევმა წაართვა იარაღი, მამძარი იყო და ბიჭი გამოქვამულში შეაგდო, ზედ უშველებელი ლოდი მიაფარა.

— რატომ არ დავუჯერე ძმას?—თავში შემოიკრა ხელი დაჩიმ.

ბაჩო არხენინად იყო სახლში, მან არ იცოდა, დაჩის რა შეემთხვა და უცებ ისე დაუმძიმდა გული, თითქოს ზედ ლოდი დაადესო. გაუდგა გზას. იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და დევის

მოსვედრილი, მეორე პატარა თვალში კი—არც ერთი. მაშინვე მიხვდა: დევი ეშმაკია, მხოლოდ პატარა თვალით იხედებაო. მოემატა ლონე, ჰკრა ისარი და გვერდზე გახტა. იღრიალა დევმა, მაგრამ რა იღრიალა, დედამიწა დააზანზარა. წამოვარდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავს, რაც ხელში მოხვდება ყველაფერს ისვრის. მერე გამოქვამულზე მოფარებული ლოდი მოისროლა და დაჩი აფერ არ უსურსუტებს!

დაავლო ხელი ბაჩომ, დაჩი წინ გაიგდო და კისერში წაუთაქა.

დაჩი ატირდა და ძმაზე ისევ გული მოუფიდა:

— მინც არაფერს არ დაგიჯერებ!—

— არ დამიჯერებ და მეორედ ურებს ავახევ!

— მინც გაგეპარები!

დაჩიმ თავისი არ დაიშალა და შინიდან ისევ ძმის უკითხავად წავიდა. იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა. დევს შორიდანვე მოესმა ფეხის ხმა და ტირილი მორთო. დაჩიმ იფიქრა: რომ ეძინოს,



ხვრინვა შემოესმა. ბაჩომ იცოდა, დევი არ უნდა გაედვიძებინა და ჩუმად მიეპარა. რას ხედავს! აფერ დაჩის იარაღი არ ჰყრია?! იფიქრა, დევს ბიჭი გადაუწყლაპავსო. აიღო ბაჩომ ისარი და დევს უშველებელ, დიდ თვალში დაუმიხნა. მაგრამ ხედავს, დევს ამ თვალში ბევრი ისარი აქვს

არ გავადვიძებდი, მაგრამ რაკი ღვიძავს და ტირის, რატომ არ უნდა ვკითხო მიზეზიო.

— რა ვატირებს?—ჰკითხა დაჩიმ.

— თვალით ვერ ვიხედები და არ ვიტყვითო!

— მერე და, რატომ ვერ იხედები, ვისი ბრალია?



— ჩემი ბრალია და ამიტომაც ვტირი. ძმო-
ბილს ვუღალატე და ახია ჩემზე.

წამოსვლისას რომ უფროსი ძმისთვის ეკითხა
დაჩის, იგი ეტყოდა, რომ ბრმა დევი კიდევ უფრო
მატყუარა და ახლოს არ გაეკაროო, მაგრამ და-
ჩიმ ხომ ძმას არ ჰკითხა და ახლა დევზე გულიც
კი მოუბრუნდა.

— შენი ძმა იყო პატარა თვალში რომ ისარი
მკრა?

— არა,—უთხრა დაჩიმ,—არც კი ვიცნობ, ვი-
ლაც მონადირე იყო.

დევს ისევ გაუხარდა, მაგრამ ისიც კი გაუკ-
ვირდა, ამის ძმის მეტი ვინ იზამდაო.

— მოდი, შევრიგდეთ, ახლა მაინც ბრმა ვარ
და რაღას დაგაკლებ!

— მხოლოდ ხელს არ ჩამოგართმევ!

— შენი ნებაა,—უთხრა დევმა,—მხოლოდ
ერთი სათხოვარი ამისრულე, წაურვილით ვიხრჩი-
ვებო, წყალი მომიტანე!

— რითი მოგიტანო?—ჰკითხა დაჩიმ,—შენ ხომ
პეშვით მოტანილი წყალი არ გეყოფა.

— მდინარის გაღმა დოქი მაქვს დატოვებუ-
ლი, ცურვა თუ იცი?

— ვიცო, რას ქვეა არ ვიცო!

— მაშინ იარაღი და ტანსაცმელი აქ დატო-
ვე, მე ვუღალატებ.

დაჩიმ მოიხსნა იარაღი, გაიხადა ტანსაცმელი
და წავიდა. გადაცურა მდინარე, წამოიღო უშვე-
ლებელი დოქი, აავსო წყლით და დევს მიუტანა.
დევმა მოსვა, უთხრა: გამოქვამულში შემიწა-

სე, გრილად იქნება და ცოტ-ცოტას დავლევო.
დაჩის ძმისათვის რომ ეკითხა, ეტყოდა: დევს
წყალი არ უნდა მიუტანოო, და თუ მიუტან, გამო-
ქვამულში მაინც არ უნდა შეგიტყუოსო.

შეიტანა დაჩიმ დოქი გამოქვამულში, რას
ხედავს: არ მიუფარებია დევს კარებზე უშველე-
ბელი ლოდი! წაიშინა თავში ხელი, მაგრამ უკვე
გვიან იყო.

ბაჩოს მაშინვე დაუმძიმდა გული. არ უნდოდა
საძებრად წასვლა, მაგრამ შინ რა ვააჩერებდა.
იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მოესმა დე-
ვის ტირილი.

უფროსმა ძმამ იცოდა, დევი რა ეშმაკიც იყო.
ფრთხილად მიუახლოვდა. დევს ერთი ღიღი,
უშველებელი და მეორე პიტარა უფრო ჰქონდა,
მაგრამ ბაჩომ არ იცოდა, რომელ უფროსი ესმო-
და. აიღო და ქვე პატარა უფროსიკენ გადააგდო.
დევს არაფერი გაუგია. ბაჩოს მოემატა ღონე,
დაავლო ზანჯალს ხელი და ჩასცხო და ჩასცხო
უშველებელ უფროსში.

იღრიალა, მაგრამ რა იღრიალა დევმა! სულ
ქვები ცვიოდა კლდეებიდან. აქეთ ეცა, იქით ეცა,
ყველაფერი მიჰყარ-მიჰყარა, ის ლოდიც მოიხ-
როლა გამოქვამულს რომ ჰქონდა მიფარებული
და დაჩი აგერ არ უფრუტებებს!

დაავლო ხელი ბაჩომ, გამოიგდო წინ და მისც-
ხო და მისცხო:

— ახლაც არ ისწავლი ჭკუას, ახლაც არ და-
მიჯერებ?

— არ დაგიჯერებ.

შილით სული ძვრებოდა, ბიკს ხელი სტაცა და გადაუ-
ლაპა.

ზის დაჩი დევის მუცელში და ფიქრობს: რატომ არ
დავუჯერებ ბაჩოსო.

ბაჩოს არაფრით არ უნდოდა, შინიდან ფეხი გამოედგა.
მაგრამ რალა ექნა, გაუდგა გზას. იარა, იარა, ცხრა მთა
გადაიარა. დაინახა, ხეში ვადამდე ჩარკობილი ხანჯალი,
იქით დევი წევს და ისვენებს, მივიდა. გამოქვაბულის კა-
რიც ღიაა. ახლა კი ნამდვილად გადაუტლავს ჩემი ძმაო,
მაშინვე ღონე მოემბატა, აიღო ხანჯალი და დევს მუცელი
გამოუფატრა.

წამოიყვანა ბიკი შინ, არც უწყურება და არც არაფერს
ეუბნება. რა ქნას, ძმა მაინც ძმაა.

ჩათვლემილ დაჩის ეღიშება და უკვე ძილში თავისთვის
ამბობს:

— ძმა მაინც ძმაა!

მანო უჩამიწუმოდ მიიპარება ოთახიდან.



— აი, შენ, თუ არ და-
მიჯერებ! — ბაჩომ წნელი
მოტეხა და ხულ აუჭრე-
ლა კანჭები.

— არ დაგიჯერებ,
ისევ გაგეპარები და არ
ვიტყვი, რომ ძმა მყავს.
თქვენ რა გგონიათ,
ერთ დღეს მართლა გაი-
პარა.

იარა, იარა, ცხრა მთა
გადაიარა და ესმის: დე-
ვი იცინის, იცინის, კვდე-
ბა სიცილით.

დევს აულია დიდი ხე,
ტოტები გაუტლია, მოიქ-
ნევს, დაირტყამს ზურგზე
და იცინის.

— ახია შენზე! — უძა-
ხის თავის თავს.

დევი ატირებული რომ
ენახა დაჩის, ისევ არ
შეეცოდებოდა, მაგრამ
არ ტირის, ირტყამს, კანი
უსკდება და იცინის.

დაჩის უნდოდა, ხე
ორად გაეჭრა. ხანჯალი
მოიქნია, მაგრამ ხეში
წვერით ჩაერკო და დევი
მიხვდა რომ დაჩი მიი-
ტყუა. მაშინვე ხე ხანჯ-
ლიანად მოისროლა. შიმ-




ეს ქალაქი ვისია?

ჯანსუღ ნიჟარაძე

მტკვრის გაღმა და გამოღმა
სავსე მზით და ბარაქით,
დგას ქართული ქალაქი,
ჩვენი დედაქალაქი.

ულურტულებენ მერცხლები:
— ეს ქალაქი ვისია?
— ვინც აშენა, ამშვენა
რა თქმა უნდა, მისია!



ნახატები თამარ ჩიჩინაშვილისა

კუვილოჯიში სხილი ყეჯი

მარიამ აბაშიძე

ციხფერთვადება გულიკოს დედამ ციხფერი
კაბა შეუყვრა. ერთი სული ჰქონდა პატარას,
ახალი კაბა მეზობლებისათვის ეჩვენებინა. დიღა-
ადრინაღ გამოეწყუო და სადარბაზო კარებთან
დადგა.

— გამარჯობა, დეიდა თამარ!—მხიარულად
მიესაღმა გულიკო ერთ მეზობელს.

— გაგიმარჯოს, ჩემო გოგონა! — უპასუხა
ქალმა და განაგრძო გბა.

— დიღა მშვიდობისა, დეიდა მარა.

— დიღა მშვიდობისა, გენაცვადე!—მიუგო
მეორემ და გაიარა.

— საღამი, ძია ვანო!

— საღამი, საღამი.

ასე ჩაიარეს დანარჩენებმაც და ვერც ერთმა
ვერ შენიშნა გოგონას ტანზე ახალი, ღამაზი
კაბა. გულიკო ატირებულად შეფარდა შინ. დედამ
ძლივს დაამშვიდა.

მეორე დღით გულიკომ იგივე ახალი ცის-
ფერი კაბა ჩაიცვა, სადარბაზო კარის წინ დად-
გა და ყველა გამეღელსა და გამოამეღელს ულოცავ-
და: „მშვიდობაში ახალი კაბაო“. თუმცა ახალი
კაბა არავის ეცვა.

ნახატი გიორგი როინიშვილისა


— აა, ჩვენო გულიკო, გვაპატრე, ვერ შე-
გამჩნიეთ; მოგვიღოცავს ახალი კაბა!—ეუბნე-
ბოდნენ მეზობლები და გახარებული გულიკოც
კლაწიაობდა.



ბატი

ნოლარ შაშინაძე

ბატი, ბატი, ბატატური,
ტბაში ცურავს თავკანტურით,
ხან უეცრად გაყუჩდება,
ზეცას უმზერს განაბული,
ხან გრძელ კისერს აქანაფებს,
თითქოს ჰქონდეს გადაბმული,
ღაქამებში ისე მოჩანს,
გეგონება ჩახატული.
ბატი, ბატი, ბატატური,
ტბაში ცურავს თავკანტურით.



კაკალი

მზია ჩხვიანი

ესო-ესო,
კარდაკარა
სიომ ღაღად ჩაიქროლა,
ძირს კაკალი ჩამოჰყარა
თუთრგულა და კროლა-კროლა.

ვინა ანარ განსარ —
გონა, გოლა,
ლალი, ლილი,
მიმორბიან კაკლის სისქვემ
გუსტრუმით და ასკინკილით.




ქვეყნის
სამშენებელი

ნახატები
პავლობისა

ციცქნა-ბიჭის თავგადასჯელი




1. ვაზის მტევანში ცხოვრობდა ბაწაწინა, ცეროდენაზე პატარა ციცქნა-ბიჭი.



2. ერთხელ ციცქნას ვაზის ფოთოლზე კოკლი ჭიანჭველა შეხვდა. ბიჭი ყურძნის წვენით გაუმასპინძლდა. სამაგიეროდ ჭიანჭველამ უამბო: შორს, ძალიან შორს

ერთი საოცარი ქვეყანაა. იქაური ბიჭუნები და გოგონები სკოლაში დაღიან და ფერადსურათებიანი წიგნებით სწავლობენო.



3. ციცქნას ძალიან უნდოდა ენახა ის ბიჭუნები, გოგონები და ფერადსურათებიანი წიგნები. ერთ მშვიდ-

ნიერ დღეს ციცქნა-ბიჭი ვაზის ერთი ფოთლიდან მივრე-ზე გადასკუპდა, მივრედან—მესამეზე და გაუღდა გზას.




4. უცებ ქარმა დაუბერა და ციცქნა-ბიჭი მოიტაცა. მი-ჰკრის ციცქნა შავრში, ქარი ხან ხაით გააქროლებს.

ხან—საით. უეცრად ბიჭუნა ობობა-ბუბას ქსელში გაეხა.



5. ობობა რბილ ქსელზე წამოწოლილიყო და ძველი გაზეთის ნახევს კითხულობდა. ბუბას პატარა ბიჭი ბუზი ეგონა და საკუქნაოში ჩამწყვედევა დაუპირა. როცა

დააკვირდა, გაოცდა: ეს რა ნამსცემა ბიჭიო. მერე ციციქნამ აუხსნა, ვინც იყო და სადაც მიიღოდა.



6. ბუბამ იხმო ახი სხვა ობობა, ტყვე ბიჭუნა ქსელიდან გაანთავისუფლეს და პაწაწინა პარაშუტიც დაუმზადეს. —მამაშვილობამ,—უთხრა ბუბამ,—უკან დაბ-

რუნებისას გაზეთები წამოშიდე, თორემ ეს ნახევი უკვე ბუთასჯერ წავიციოთხე და წასაკითხი სხვა არაფერი მაქვსო.



7. ციციქნა უფნებლად დაეშვა დედამიწაზე. საიდანღაც შოშოა-შაშომ ჩამოიკროლა. ბიჭუნას ხალათში ნისკარტი ჩააგლო და ბუღისაკენ გააქროლა. შაშო-შოშოას

ეგონა, ეს პაწაწინტელა ბიჭუნაც ზოგიერთი ბიჭვით აბეზარი იქნება, ბუღეების დაშლისა და შურღუდლის სროლის მეთი არაფერი ეცოდინებო.




8. ციციქნა-ბიჭი შოშოების სახლში ჩაქება და ბეზე ქალღი გამოაკრა. აი, რა ეწერა იმ ქალღელზე:

საწყალი ციციქნა შოშოების სახლში იჯდა და იქიდან დაღონებულ იქცეებოდა.

(გაგრძელება იქნება)

სუჯჩინი



- ციყვუნიას რა სურს?
- კაკალი და თხილი,
- ჭიანჭველა ჭინჭარას?
- მურაბეები ტაბილი!
- ძილისგულა ჭრიჭინას?!
- ზაფხულამდე ძილო!



გიორგი მებრკველი


ქართული
ენობათმცოდნეობის
ინსტიტუტი

მტირალა ტროლეიგუსი

ზეტარა ლევანი მამამ სტუმრად წაიღებინა. ვაშლი ვაჭვებდა. ტროლეიგუსში ჩასხდნენ. ლევანი წინა სკამზე იჯდა და მძღოლის კაბინაში იუურებოდა.

— მამიკო, ჰესე, ტროლეიგუსი როგორ ტირის, ისრუბი კი ცრემლავებს სწებენდეს! — უთარა ლევანმა მამას


თინათინ ჯაპახიანილი



წია, წია!

ლილი ნუსხიამ

წია, წია, წიწილო,
წია, წია, პაწია;
ამ წვიმაში არ გცვივა,
ფეხზე რომ არ გაცვივა?!





ენის გასატეხი



გოგონა ნავომ და თოჯინა ქავომ

მალა გლიამა
ნატანს ბეზოს—მართას
ეს რა დაუმართა:
ერთი კალთა პანტა
სულ ძირს დაუფანტა,
მარჯვმ გოგომ—ნატანმ
აუკრიფა პანტა.



კურდღელი

აფრიკული იგვი

ერთხელ კურდღელი შუქსე სე-
რსობდ უკნოდ თვისი კუჩუბის
სრდელი შექმნია. სრდელი რქანი
ხდირი ვეცან და მისით მოკურ-
ცნდა.

მხდღეს სეკუთარი სრდელისხვ
კე ქმნილი.

თარგმნა **ლილი გოჩიშვილი**

მთავარი რედაქტორი **შუბრან შავაშვიანი**.

სარედქციო კოლეგია: **მუხრან გოგივაშვილი**, **ლევია პრაბი**, **ჯეჰალ ლოლა**, **მამალა მამილაშვილი**, **ჯეჰალ ნინია**,
ირამ ბეჰმარალიძე (პ/მ, მდიანი), **შალვა მხალაშ** (სამხატვრო რედაქტორი), **ვივი მწულაძე**.

საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ა. ლენინის სახელობის **სსრკ** პიონერთა ორგანიზაციის რეკონსტრუქციური ნაპოს ევროპული
ულაზე ნახატი **მუხრან გოგივაშვილი** გამოცემის 42-ე წელი. ტექნოლოგიური მ. რედაქტორი **მ. რედაქტორი**

რედაქციის მისამართი: **ლენინის ქ. № 14**, ტელეფონები: 93-41-30, 93-99-18. | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

გადაცემა: **28/VI-69** წ. ხელმოწერილია დასაბუჯდელად **14/VIII-69** წ. კვადრის ზომა **80x90**მმ. ფისიური ნახტი **ფურცელი 2,5**






შედეგ № **1932**. ტირაჟი **131.000**, საქ. კვ ცვ-ის გამოცემის სტამბა, თბილისი, **ლენინის ქ. № 14**, ფანა **20** კაპ.

«**Дилла**» № **10** на грузинском языке. Типография изд-ва ЦК КП Грузии, ул. **Ленина, 14**.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. Издательство ЦК КП Грузии

ქ. ქუთაისის მუხრანის შუაგურიან გე-მ-ე
საბავშვო ბაღის აღსაზრდელო ნაშე-
შვარები (ავლიანთა).

6.9.1905



შეშე — ღოთა ხარაბაძე
 ნახეშე — მერაბ ხახიაშვილი
 ბეპეშე — ლიანა ბარბაძე
 ნახეშე — ნინო ქოქოშვილი
 ნახეშე — ლელო ხანდელაძე
 ნახეშე — შიგოურ შარბელაძე